ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

29 აგვისტო, შაბათი, 1987 წ.
№ 167 (9578) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ახალი სტარტები ელით

**როგორც** ვიუწყებოდით, სტრასბურგში, სპორტის საწყლოსნო სახეობებში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე თბილისელმა სპორტსმენმა, წყალში მხტომელმა გიორგი ჩოგოვაძემ და წყალბურთელმა მიხეილ გიორგაძემ ოქროს მედლები მოიპოვეს, მათმა მეგობარმა, სინქრონული ცურვის ოსტატმა ხრისტინა ფალასანიდიმ კი ვერცხლის მედალი მიიღო.

გუშინ საქართველოს სპორტსახკომის ხელმძღვანელები შეხვდნენ გიორგი ჩოგოვაძეს, ხრისტინა ფალასანიდს და მათ მწვრთნელებს, საქართველოს ნაკრების უფროს მწვრთნელებს იური გუტიაკულოვსა და ნატალია მაშუკს და მიულოცეს სპორტსმენებსა და მათ მწვრთნელებს წარმატება. სპორტსმენებმა ილაპარაკეს შეჯიბრების პერიპეტიებზე და მომავლის გეგმებზე. თქვეს, რომ კვლავაც დიდი მონდომებით მოემზადებიან ახალი სტარტებისათვის, უწინარეს ყოვლისა, იბრძოლებენ ჩვენი ქვეყნის ოლიმპიურ გუნდში მოსახვედრად.

შეხვედრას ვერ დაესწრო მიხეილ გიორგაძე, რომელმაც სტრასბურგიდან დაბრუნებისთანავე მშობლიურ ქუთაისს მიაშურა.

ინტერვიუს ჩვენს სპორტსმენებთან „ლელოს" ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

**სურათზე: ხრისტინა ფალასანიდი და გიორგი ჩოგოვაძე.**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო





**თბილისში დამთავრდა ალკკ ცენტრალური კომიტეტის „ტყავის ბურთის" კლუბის პრიზის გათამაშება უფროსი ასაკის ფეხბურთელებს შორის. ტურნირის მთავარი პრიზი თბილისის „შატილმა" მოიპოვა. მესამე ადგილი დაიკავა სოფელ დიდი ჭყონის „იმედმა". წარმატებას ვულოცავთ ნორჩ ფეხბურთელებს.**



## კვარცხლბეკზე — „შატილი", „ავანგარდი", „იმედი"

**საგანგებოდ** მოწვეულ თათბირს, რომელიც 26 აგვისტოს საღამოს კომკავშირულ ქალაქ ბორის ძნელაძეში გაიმართა, „ტყავის ბურთის" კლუბის პრიზის გათამაშების ფინალურ ტურნირში მონაწილე ყველა გუნდის მწვრთნელი ესწრებოდა.

„როდესაც მოსკოვიდან, კლუბის ცენტრალური შტაბიდან შემატყობინეს, რომ ასაკობრივი ცენზის დარღვევის გამო ჩიმკენტში ორი გუნდი მოიხსნა ტურნირიდან, ფერგანაში კი სამი, ერთგვარი სიამაყის გრძნობითაც კი მოვახსენე, რომ აქ, თბილისში, უფროსი ასაკის ბავშვთა ტურნირში ყველაფერი ყოველგვარი ექსცესების გარეშე მიმდინარეობს მეთქი." — ასე დაიწყო თავისი გამოსვლა „ტყავის ბურთის" კლუბის ცენტრალური შტაბის პრეზიდენტის მოადგილემ, ტურნირის მთავარმა მსაჯმა, საკავშირო კატეგორიის არბიტრმა სემიონ სალმანმა.

* * *

ვინც თბილისში მიმდინარე ტურნირს ადევნებდა თვალყურს, კარგად იცის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ორივე გუნდი გამოეთიშა მთავარი ჯილდოსათვის მებრძოლთა რიგებს. სოფელ დიდი ჭყონის „იმედი" მეოთხედფინალში დამარცხდა, თბილისის „შატილი" კი — ნახევარფინალში. ორივე გუნდმა ერთი და იგივე მეტოქესთან ქალაქ სლავიანსკის № 15 პროფტექსასწავლებლის გუნდთან შეხვედრაში წააგო, რომელიც, მართალი რომ ითქვას, მთელი თავით მაღლა იდგა თავის მეტოქეებზე.

* * *

**26 აგვისტოს თათბირი.** ს. სალმანი: „ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ სულ მალე ჩვენც მოგვიწევდა ანალოგიური შეტყობინების გაგზავნა ცენტრალურ შტაბში. უველაფერი კი ტურნირის ორგკომიტეტის სახელზე შემოსული პროტესტით დაიწყო, სადაც გვთხოვდნენ შეგვემოწმებინა ერთ-ერთი ფინალისტის სლავიანსკის „პლამია". საეჭვო იყო ამ გუნდის ზოგიერთი მოთამაშის ასაკი და ვინაობა. მიუხედავად იმისა, რომ წინასწარ ატესტაციაზე „პლამიას" უკვე გავლილი ჰქონდა შემოწმება, ჩვენ კვლავ დავუკავშირდით სლავიანსკს. პასუხში, რომელსაც ხელს აწერდნენ ქალაქის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, მე-15 პროფტექსასწავლებლის დირექტორი და კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი, ვწერია: „ფოტოსურათებისა და საბუთების შედარების საფუძველზე გატყობინებთ, რომ ჩვენი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მოსწავლეებად ამოცნობილია ათი

იხ. მე-2 გვ.

**სურათებზე:** ტურნირში გამარჯვებული „შატილის" გუნდი; თამაშის მომენტი განვლილი ფინალური მატჩიდან.

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები.



მსოფლიო ჩემპიონატი თავისუფალ ჭიდაობაში

## ფინალები ახლოსაა

**კლერმონ-ფერანი.** თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა მსოფლიო ჩემპიონატი 48, 57, 68, 82 და 100 კგ წონითი კატეგორიების მოჭიდავეებმა ერთი დღით ადრე დაიწყეს და ამიტომ ტურნირს ერთი დღით ადრე დაამთავრებენ.

ოქროს მედლებისთვის იბრძვიან თბილისელი ლერი ხაბელოვი (100 კგ), ტაშკენტელი არსენ ფაძაევი (68 კგ) და კიეველი სერგეი ბელოგლაზოვი (57 კგ). აი სერგეი კარამჩაკოვი (48 კგ) და ვლადიმერ მოდოსიანი (82 კგ) უკეთეს შემთხვევაში ბრინჯაოს მედლებს დაეპატრონებიან.

მეორე ხუთეულს მთავარი ბრძოლები ჯერ წინა აქვს, თუმცა ერთი ცენტრალური შეხვედრა მძიმე წონაში უკვე გაიმართა. ტაშკენტელმა ასლან ხადარცევმა დაამარცხა მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონი ბრიუს ბაუმგარტნერი (აშშ). კარგ შანსებს ინარჩუნებს ასლანის ძმა მახარბეკიც, რომელიც 90 კგ წონაში გამოდის.

ვლადიმერ ტოგუზოვმა (ორჯონიკიძე) წააგო შეხვედრა ბულგარელ ვალენტინ იორდანოვთან (52 კგ) და ახლა მესამე ადგილისთვის იბრძვის.

ფინალები ჯერ წინაა, მაგრამ გუნდურ ბრძოლაში უკვე გამოვლინდნენ ლიდერები: საბჭოთა კავშირის, აშშ-ს და ბულგარეთის მოჭიდავეები. სხვათა შორის, შარშანდელ ჩემპიონატში ადგილები სწორედ ასეთი თანამიმდევრობით განაწილდა.

## „დინამოს" მატჩები გადაიტანეს

**16 სექტემბერს** დანიშნული იყო უეფა-ს თასის პირველი შეხვედრა სოფიის „ლოკომოტივსა" და თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა შორის. ვინაიდან ამ დღეს ბულგარეთის დედაქალაქში გაიმართება ევროპული ტურნირის კიდევ ერთი მატჩი, ბულგარეთის საფეხბურთო კავშირმა თხოვნით მიმართა უეფა-ს სოფიის „ლოკომოტივისა" და თბილისის „დინამოს" თამაში 16 სექტემბრიდან გადაეტანა 17 სექტემბრისთვის. ბულგარელთა ეს თხოვნა უეფა-მ დააკმაყოფილა, თბილისის „დინამო" სოფიაში ითამაშებს 17 სექტემბერს.

ამასთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჩემპიონატის მატჩი თბილისის „დინამოსა" და ბაქოს „ნეფთჩის" შორის შედგება არა 20, არამედ 21 სექტემბერს.

## წოდებათა მინიჭება

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**ფარიკაობაში** — დავით სახვაძეს (თბილისი, პროფკავშირები), ვალერიან ინწკირველს (გაგრა, პროფკავშირები), ალექსანდრე ჯინჭარაძეს, გოჩა მეტრეველს, კონსტანტინე ოყროშიძეს (სამივე — ქუთაისი, პროფკავშირები).

**ცურვაში** — ვიქტორია უტიცკიხს (რუსთავი, პროფკავშირები), ქეთევან ენდრიშვილს (თბილისი, პროფკავშირები).

**ძალოსნობაში** — არაიკ კაზარიანს, დავით სომხიშვილს (ორივე — თბილისი, პროფკავშირები), გრიგოლ ჩუბინიძეს (საჩხერე, პროფკავშირები).

**აკრობატიკაში** — ჯაბა ლომთაძეს (ქუთაისი, პროფკავშირები), როინ სომხიშვილს, აკაკი საბაშვილს, მალხაზ პეტრიაშვილს, ზაზა ნინუას, თამაზ მღებრიშვილს, დარეჯან მერაბიშვილს, ზვიად კვაჭაძეს, რამაზ ბუზიაშვილს (ყველა — თბილისი, განათლების სამინისტრო), სვეტლანა ფედოროვას (რუსთავი, პროფკავშირები), მადონა კარაბაშოლლის (ხელვაჩაური, განათლების სამინისტრო), სვეტლანა ბაუერს, ანაიდა ჩერმაკიანს (ორივე — რუსთავი, პროფკავშირები).

**თანამედროვე ხუთჭიდში** — იური შიტუხინს (თბილისი, პროფკავშირები).

მსოფლიო ჩემპიონატი ველოსპორტში

## ორი ოქროს მედალი

**ვენა.** ველოსიპედისტთა მსოფლიო ჩემპიონატში მედლების კიდევ ორი კომპლექტი გათამაშდა. ქალთა სპრინტში, როგორც მოსალოდნელი იყო, 25 წლის ტალინელმა ერიკა სალუმიაემ გაიმარჯვა, აი, 4 კილომეტრზე ვაჟთა ინდივიდუალურ რბოლაში კი ერთგვარი სენსაცია მოხდა.

ლენინგრადელმა ვიაჩესლავ ეკიმოვმა წლეულს ამ დისტანციაზე ყველა შეჯიბრება მოიგო, სეზონის მთავარი სტარტი კი თავის მუდმივ მეტოქეს, კლაიპედელ გინტაუტას უმარასს დაუთმო. უმარასის გამარჯვება მოულოდნელი, ცხადია, არ იყო, თუმცა სპეციალისტთა აბსოლუტური უმრავლესობა ამ სახეობაში გამარჯვებას ეკიმოვს უწინასწარმეტყველებდა. სწორედ ამის გამო თუ მივიჩნევთ ამ შედეგს სენსაციად.

მაშ ასე, ჩემპიონის ოქროს მედლები ჩვენმა გუნდმა უკვე მოიპოვა. სასიამოვნოა, რომ ბრინჯაოს ჯილდოც ამ დისტანციაზე საბჭოთა ველოსიპედისტს, კლაიპედელ არტურას კასპუტისს ერგო. ამ დღეს გამარჯვებულთა კვარცხბეკზე სამი საბჭოთა სპორტსმენი დადგა.

საინტერესოა კიდევ ერთი დეტალი. ვენაში პარალელურად პროფესიონალთა მსოფლიო ჩემპიონატიც ტარდება. სპრინტერთა საკვალიფიკაციო რბოლაში (200 მეტრზე სვლით) საუკეთესო დრო იტალიელმა კლაუდიო ჯოლინელიმ აჩვენა — 10,587, რაც პროფესიონალთა ახალი მსოფლიო რეკორდია. ჯოლინელი მოყვარულთა შეჯიბრებაში ამ შედეგით მხოლოდ მეცხრე ადგილს დაიკავებდა. ესეც თქვენი პროფესიონალები.

სპრინტერ ვაჟთა შეჯიბრების ნახევარფინალში გდრ-ის ოთხი წარმომადგენელი გავიდა მიჰაელ ჰიუბნერისა და ლუც ჰესლიჰის მეთაურობით. სსრ კავშირის ჩემპიონი ნიკოლოზ კოვში მეოთხედფინალში ჰესლიჰთან დამარცხდა (0:2) და ახლა V-VIII ადგილებისთვის იბრძვის.

**ტექნიკური შედეგები.** სპრინტი (ქალები). 1. ერიკა სალუმიაე (სსრ კავშირი), 2. კრისტა როტენბურგერი (გდრ), 3. კონი პარასკევინი (აშშ), 4. ნატალია კრიუშელნიცკაია (სსრ კავშირი).

4 კგ. გამოდევნებით რბოლა. 1. გინტაუტას უმარასი — 4.29,59, 2. ვიაჩესლავ ეკიმოვი — 4.30,52, 3. არტურას კასპუტისი (ყველა — სსრ კავშირი) — 4.31,41, 4. დინ ვუდსი (ავსტრალია) — 4.41,06.

**გარდაქმნა კონკრეტული საქმით იწყება**

# სპორტული საჩხერე. პრობლემები, პერსპექტივები...

**საჩხერის რაიონში ბევრი კარგი სპორტსმენი აღიზარდა. თუ ადრე აქ ყველაზე მეტად ფეხბურთი უყვარდათ, მერე და მერე სპორტის სხვა სახეობებიც განვითარდა — ჯერ მაგიდის ჩოგბურთში ისახელეს თავი, მერე ძალოსნობაში, მაგრამ იმისათვის, რომ რაიონში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობა უფრო მასობრივი გახდეს, ბევრი პრობლემის გადაჭრაა საჭირო.**

**დღეს გვინდა გარდაქმნის გზაზე დამდგარ სპორტულ საჩხერეზე მოგითხროთ.**

**ძალოსნობის** მოყვარულებმა საირხის საშუალო სკოლაში შეშის საჩეხი სარდაფი გამოათავისუფლეს და იქ დაიდეს ბინა. მერე სასურსათო კომბინატის სარდაფში გადაინაცვლეს, მერე ერთი მიტოვებული ნაგებობა გაარემონტეს და იქ შეიხიზნენ. აქ დაოსტატდნენ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ამირან ჰიტაძე და სპორტის ოსტატი გოგი თოდაძე — ამჟამად ახალგაზრდული და საქართველოს ნაკრები გუნდების მწვრთნელები.

სპორტის სხვა სახეობებსაც გამოუჩნდნენ ენთუზიასტები, ჭიდაობის მოყვარულები საზკვების გაერთიანების ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე მდებარე სათავსოში შეიხიზნენ, კრივისა — ქალაქის ძველი საავადმყოფოს შენობაში.

მიზანდასახულმა ვარჯიშმა მოჰიდავე ზაზა თურმანიძეს ევროპის ჩემპიონობა მოუტანა, მის პირველ მწვრთნელს მიხეილ ლამბაშიძეს — საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება. სპორტის ოსტატები გახდნენ მოკრივე ჭაბუკი ჭილლაძე და მისი აღზრდილები: ჯაბა ცუხიშვილი და გოჩა გაბაძე.

სპორტის განვითარებაში შემობრუნების პუნქტად იქცა რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივის 1984 წლის კრება. ამონაწერი კრების დადგენილებიდან: „...ერთეული წარმატებები, თუნდაც საკავშირო, მიღწეულით დამშვიდებისა და დაკმაყოფილების არავითარ უფლებას არ იძლევა. ჩვენ გვჭირდება მასობრივი სპორტი, როგორც საზოგადოების სულიერი და ფიზიკური ჯანმრთელობის საუკეთესო პირობა. ამისათვის უნდა დაირაზმოს სპორტის ყველა სპეციალისტი, რაიონის თითოეული პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო, პროფკავშირული, კომკავშირული ხელმძღვანელი, მთელი საზოგადოება“.

აქტივის კრების დადგენილების შესასრულებლად დაიწყო მოძრაობა მარტივი ტიპის სპორტული მოედნების მშენებლობისა და არსებული ბაზების კეთილმოსაწყობად. ამ მოძრაობას სული შთაბერეს საკლუბო დაწესებულებებისა და სპორტული ნაგებობების გამოყენების გაუმჯობესებისა და ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებებმა. ერთიორად იმატა სპორტულ სექციათა, ჯანმრთელობის ჯგუფთა, მასში გაერთიანებულ მმდ-ს ნიშნოსანთა, თანრიგოსანთა რაოდენობამ. სექციებში მოიზიდეს ძნელად აღსაზრდელნი, ლოთობისაკენ მიდრეკილების მქონე ახალგაზრდები. ჩამოყალიბდა ტურიზმის, ლაშქრობის მოყვარულთა ჯგუფები. მარტივი ტიპის მოედნები მოეწყო ბევრ საწარმო-დაწესებულებაში, საბჭოთა მეურნეობაში, საცხოვრებელ უბანში. ჯანმრთელობის ჯგუფებში გაერთიანდნენ ასაკოვანი ადამიანები, მათ შორის ქალებიც. პარტიის რაიონულმა და ჭიათურის საქალაქო კომიტეტებმა ტრადიციად აქციეს ამხანაგური შეხვედრების მოწყობა ფეხბურთში.

* * *

სპეციალისტთა აზრით, საჩხერის ცენტრალური სტადიონის საფეხბურთო მინდორი ერთ-ერთი საუკეთესოა რესპუბლიკის რაიონებში. აქ ადგილობრივ გუნდთან ამხანაგური შეხვედრები გაუმართავთ თბილისის „დინამოს“ და ქუთაისის „ტორპედოს“. სტადიონმა რამდენჯერმე უმასპინძლა „ტყავის ბურთისა“ და „სიჭაბუკის თასის“ (ერთხელ საკავშიროსაც კი) ზონალურ თამაშებს. ამჟამად მიმდინარეობს სტადიონის კაპიტალური რემონტი, რისთვისაც თანხები რესპუბლიკის პროფკავშირების სპორტულ ნაგებობათა სამმართველომ გამოყო.

მასობრივი შეჯიბრებები იმართება მერჯევის, სავანის, ჩიხის სპორტულ ბაზებზე, საჩხერის მესამე, არგვეთის, სარეკის საშუალო სკოლების სპორტდარბაზებში, ლენინის ქუჩაზე ახალაგებულ კალათბურთის მოედანზე.

200 ათასი მანეთი გამოიყო ქალაქის ძველი სტადიონის სარეკონსტრუქციოდ. რაიონის ახალგაზრდები კომკავშირის რაიონული კომიტეტის თაოსნობით ამ ობიექტზე შრომობენ. სტადიონს ექნება კალათბურთის, ფრენბურთის მოედნები, მძლეოსნობის სექტორები.

როგორც იქნა განახლდა სამუშაოები ცენტრალური სტადიონის მშენებარე სპორტდარბაზში. წელსვე დამთავრდება კრივის დარბაზის მშენებლობა, რომელსაც რესპუბლიკის აგრომრეწვის სახელმწიფო კომიტეტი აწარმოებს.

რაიონის ახალგაზრდებს დიდი ხნის ნატვრის ასრულებას დაპირდა ბამბის სართავი ფაბრიკის დირექტორი, სპორტსმენთა დიდი მოამაგე ზურაბ კაჭკაჭიშვილი. ფაბრიკის ტერიტორიაზე უკვე დაიწყო საცურაო აუზის მშენებლობა, რომელიც წლის ბოლოსათვის უნდა დამთავრდეს. აქვე და № 153-ე პროფტექნიკური სასწავლებლის ტერიტორიაზე აიგება სხვა ბაზებიც, ახლო მომავალში საჩხერეს საჭიდაო დარბაზიც ექნება.

„იმედი“ — ასე ჰქვია საჩხერის კომუნალურ მეურნეობათა საწარმოო კომბინატის ნორჩ ფეხბურთელთა გუნდს, რომლის სახელი რესპუბლიკის ფარგლებს გასცდა.

ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ საზოგადოებრივ საწყისებზე მომუშავე მწვრთნელმა არტო ივანოვმა თავი მოუყარა 1973-74 წლებში დაბადებულ ბიჭებს და ინტენსიურ წვრთნას შეუდგა.

წარმატებებს წარმატებები მოჰყვა. ბიჭუნებმა რამდენჯერმე გაიმარჯვეს „ტყავის ბურთის“ ზონალურ ტურნირებში, გასულ წელს კი რესპუბლიკური ფინალიც მოიგეს და ლიპეცკის საკავშირო ასპარეზობაში მონაწილის საგზური მოიპოვეს...

დღეს რაიონში 68 ფიზკულტურული კოლექტივია, რომლებშიც 12802 კაცია გაერთიანებული, ანუ მთელი მოსახლეობის მეოთხედზე მეტი. მათ შორის 5325 ქალია. ჯანმრთელობის 53 ჯგუფში, რომელსაც 103 მწვრთნელი და ინსტრუქტორი ემსახურება, 1900 კაცი ვარჯიშობს. 229 სექციაში 8117 ახალგაზრდაა გაერთიანებული. სპორტის განვითარებას 18 შტატიანი მწვრთნელი და მრავალი საზოგადოებრივი ინსტრუქტორი ემსახურება. რესპუბლიკური რანგის მატჩებს მსაჯობენ: დემურ სადღობელაშვილი (კალათბურთი), შოთა მაჭარაშვილი და გოგი ბანძელაძე (ფეხბურთი), მიშა ლამბაშიძე და ჯემალ ბასილიძე (ჭიდაობა), ჭაბუკი ჭილლაძე (კრივი), ვაჟა კაპანაძე (ძალოსნობა). მაგიდის ჩოგბურთში საკავშირო შეჯიბრებებზე იწვევენ მსაჯ ბონდო მღებროვს.

ბოლო სამ წელიწადში რაიონმა რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს მისცა 30-მდე სპორტსმენი. მათ შორის გელა ტყემალაძე — საქართველოს ჩემპიონი ქართულ ჭიდაობასა და სამბოში, სპორტსაზოგადოება „უროჟაის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი ძიუდოში, ჭაბუკთა პირველი რესპუბლიკური თამაშების ჩემპიონი სამბოში; კობა ტალახაძე — საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ახალგაზრდებს შორის; ნიკოლოზ ჩხეიძე — საკავშირო „სიჭაბუკის თასისა“ და „იმედის თასის“ გამარჯვებული, ქუთაისის „ტორპედოს“ ფეხბურთელთა გუნდის წევრი.

სპორტის 14 სახეობაში ცდიან ძალას რაიონის გუნდები, ჭაბუკთა მეორე რესპუბლიკურ თამაშებზე ჯერჯერობით ისინი რესპუბლიკის რაიონებს შორის მე-2 ადგილზე არიან.

რესპუბლიკის ნაკრებ გუნდში 5 საჩხერელი ძალოსანია, ამდენი წარმომადგენელი ამ გუნდში მხოლოდ თბილისს ჰყავს.

რუსთავში გამართულ მოსწავლეთა რესპუბლიკურ პირველობაში გუნდური პირველი ადგილი და ჩემპიონობა 2081 ქულით საჩხერელმა ძალოსნებმა მოიპოვეს. მათ ჩვიდმეტი ქულით გაუსწრეს მეორე ადგილზე გასულ თბილისის გუნდს.

წელს ცხინვალში გამართულ მეორე რესპუბლიკური ახალგაზრდული თამაშების პროგრამით გათვალისწინებულ ძალოსანთა შეჯიბრებაში საჩხერლებმა გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს და 207 ქულა შესძინეს რაიონს.

* * *

დამაფიქრებელია ის გარემოება, რომ ნაკლები წარმატებები აქვთ კალათბურთში, ჩოგბურთში, ფრენბურთში, ჭადრაკში, შაშში, მძლეოსნობაში... რაიონს აკლია კვალიფიციური მწვრთნელები, ზოგიერთი სოფლის, უბნის ახალგაზრდობა უკმაყოფილების გამოთქვამს, რომ არ აქვთ მარტივი ტიპის მოედნები, ან, რაც არის, უხარისხოა. ასეთი ნაგებობების სიმცირეს განიცდიან საწარმოო-დაწესებულებები და ქალაქის ცალკეული უბნები. დასაჩქარებელია ახალი სპორტული ბაზების მშენებლობა. თუკი საქართველოს ძალოსანთა ნაკრები გუნდები როგორც სპორტსმენებით, ისე მწვრთნელებით, თითქმის მთლიანად საჩხერის წარმომადგენლებითაა დაკომპლექტებული, რატომ არ შეიძლება საჩხერეში ძალოსნობის სპეციალიზებული სკოლა გაიხსნას? აქ ჯერ კიდევ ირონიულად უყურებენ სარბენ ბილიკებზე გამოსულ ქალს ან ხანშიშესულ მამაკაცს. ეს იმას ნიშნავს, რომ მასობრივ სპორტს პროპაგანდა სჭირდება.

დიახ, პრობლემები არის, მაგრამ რაც მთავარია, რაიონი სპორტული განვითარების სწორ გზას ადგას.

**დავით ბიწაძე.**

# კვარცხლბეკზე — „მატილი“, „ავანგარდი“, „იმედი“

(დასასრული)

**კაცი, აქედან ორი 1987 სასწავლო წლიდანაა ჩარიცხული სასწავლებელში“. ირკვევა, რომ ოთხი მონაწილე საერთოდ უცნობია ამ სასწავლებლისთვის, ორს დებულების მიხედვით არ შეეძლო გუნდის შემადგენლობაში თამაში, „რის გამოც ხლავიანსკის „პლამია“ მოხსნილია გათამაშებიდან და მის ნაცვლად ფინალურ მატჩში, როგორც ნახევარფინალისტი, ითამაშებს თბილისის 170-ე საშუალო სკოლის „მატილი“.**

* * *

27 აგვისტო. ალკკ ცენტრალური კომიტეტის „ტყავის ბურთის“ კლუბის პრიზის გათამაშების ფინალური მატჩი. თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი.

**თბილისის „მატილი“ — ომსკის „ავანგარდი“ 1:0.**

ფინალური სასტვენის შემდეგ თბილისელთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და ეს გასაგებიცაა. „მატილმა“ მეტად მძიმე ბრძოლაში დაამტკიცა, რომ ფინალში მისი მოხვედრა შემთხვევითი არ იყო. რაც შეეხება თავად მატჩს, იგი სანახაობრივი თვალსაზრისით მიმზიდველი და ეფექტური ვერ გამოდგა. თუმცა, ეს არც იყო გასაკვირი — ფინალურ მატჩს ყოველთვის თან სდევს დიდი ემოციური და ფიზიკური დატვირთვა. თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, ნორჩი ფეხბურთელები მინდვრის ყოველ მონაკვეთზე თავგამოდებით იბრძოდნენ და თამაშის მე-7 წუთზე თბილისელი რეზო ფანჯავიძის მიერ გატანილი გოლი ზუსტად გამოხატავს ამ თამაშში ძალთა თანაფარდობას, მაგრამ სათამაშო დროის რომელიღაც მონაკვეთში თბილისელები უფრო მომზადებულები აღმოჩნდნენ. „მატილი“, რომელსაც სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი გურამ ჩომახიძე წვრთნის, ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ზვიად კაპანაძე, ზაზა ბუციაშვილი, გიორგი ოძელაშვილი, ვალერი დიდია, ზურაბ კალანდაძე, თემურ თოდუა, არჩილ ჩუხრუკიძე (გუნდის კაპიტანი), გია თოფურია, ლევან სვანი, დათო გიორგობიანი, ბესიკ კანკავა, ალექსანდრე იმნაძე, რეზო ფანჯავიძე, თენგიზ ჩხაიძე.

* * *

**26 აგვისტოს თათბირი. ს. სალმანი: „მეგობრებო, თუ ფინალისტის კანდიდატურის დასახელება საორჭოფო არ ყოფილა, მეტად მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით მესამე-მეოთხე ადგილებისთვის მებრძოლი მეორე გუნდის კანდიდატურის შერჩევისას. როგორც იცით, მეოთხედფინალურ მატჩში „პლამიას“ ფეხბურთელებმა მოუგეს საქართველოს მეორე წარმომადგენელს, დიდი ჭყონის „იმედს“. ამ დამარცხების შემდეგ „იმედი“ მეხუთე ადგილისათვის მატჩში შეხვდა მოსკოვის ოლქის „ორლიონოკს“, სადაც მხოლოდ პენალტების სერიაში დათმო გამარჯვება და VII-VIII ადგილების მაძიებელთა წყვილში გადაინაცვლა. ჩვენი ტურნირი სხვა რესპუბლიკაში რომ ტარდებოდეს, ორგკომიტეტი მეორე ფინალში უყოყმანოდ დაუშვებდა „იმედს“ როგორც მეოთხედფინალისტს, მაგრამ ახლა... ამიტომაც ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტი და შტაბი მოგმართავთ მწვრთნელებს, თქვენ დაასახელოთ ის მეორე გუნდი, რომელიც მესამე საპრიზო ადგილისათვის იბრძოლებს“. დარბაზში უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. „ქართველები“ — ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა ვილაცამ, „იქნებ წილისყრა მოგვეწყო“ — გაუბედავად თქვა მეორემ, მაგრამ ყველას მზერა, უნებლიედ, მოსკოვის ოლქის გუნდის „ორლიონოკის“ მწვრთნელისკენ, მიხეილ სუხარევისკენ იყო მიმართული.**

* * *

„ორლიონოკი“ უკვე ათი წელია არსებობს. ბიჭები ძალზე პატარები, ექვსი-შვიდი წლისანი იყვნენ, როცა მამებმა ისინი თავიანთ მეგობართან და ყოფილ თანაგუნდელთან მიშა სუხარევთან მიიყვანეს. მას შემდეგ ეს ბიჭები სულ ერთად არიან — ზაფხულში „ტყავის ბურთზე“ ფეხბურთს თამაშობენ, ზამთარში „ოქროს შაიბაზე“ — ჰოკეის. „ორლიონოკი“ კიდევ ერთი საინტერესო „თვისებით“ გამოირჩევა: გუნდის კარს იცავს ლევ ივანესძე იაშინი, რომელსაც არც ამჯერად შეურცხვენია თავი თავის საქვეყნოდ ცნობილ „ორეულთან“.

სხვა სპეციალურ პრიზებს შორის ტურნირის ორგანიზატორებმა დააწესეს „ყველაზე მეგობრული“ და „კეთილშობილების“ პრიზები. ეს ორივე პრიზი დამსახურებულად მოიპოვა „ორლიონოკმა“.

* * *

**26 აგვისტოს თათბირი. მ. სუხარევი, მოსკოვის ოლქის „ორლიონოკის“ მწვრთნელი: „როგორც ვატყობ, ბოლო სიტყვა მე მეკუთვნის. მართალია ჩვენ მეხუთე-მეექვსე ადგილებისთვის მატჩი მოვუგეთ „იმედს“, მაგრამ სრულებით არ ნიშნავს, რომ გვაქვს მესამე ადგილისთვის ბრძოლის უფლება. მეოთხედფინალში სამართლიანად დავმარცხდით „მატილთან“, „იმედი“ კი უსამართლოდ დაიჩაგრა. მიმაჩნია, რომ მესამე ადგილისთვის ქართველმა ფეხბურთელებმა უნდა ითამაშონ. იმედია, ჩემი ბიჭები სწორად გაიგებენ ჩემს გადაწყვეტილებას“.**



მესამე პრიზიორი — „იმედი“.

* * *

27 აგვისტო. მატჩი მესამე ადგილისათვის. თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი.

**დიდი ჭყონის „იმედი“ — ბარანოვიჩის „ოლიმპია“ (ბელორუსია) 2:0.**

„ოლიმპია“ ამ ასპარეზობის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა და ნახევარფინალში მისი დამარცხება ბევრმა ტურნირის სენსაციადაც მიიჩნია. ვერ გეტყვით ასევე ფიქრობდნენ თუ არა დიდიჭყონელი ფეხბურთელებიც. თამაში მათ ფრთხილად, დაზვერვით დაიწყეს. გოჩა თოდუას მიერ გატანილმა პირველმა გოლმა „იმედს“ ფრთები შეასხა და უკვე თამამად უტევდა „ოლიმპიის“ კარს. პირველი ტაიმი დასასრულს უახლოვდებოდა, როდესაც მინდვრის ცენტრთან ახლოს, მარჯვენა ფრთაზე ბურთი კვლავ გოჩა თოდუამ მიიღო, გაიჭრა კარისკენ, გვერდი აუარა რამდენიმე მცველს და ძლიერად დაარტყა — 2:0. ეს უკვე თითქმის გამარჯვება იყო (აქვე აღვნიშნავთ, რომ გ. თოდუამ ტურნირის ყველაზე ტექნიკური მოთამაშის პრიზი დაიმსახურა). თამაშის მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა, უფრო ხშირად უტევდნენ ბელორუსი ფეხბურთელები, „იმედის“ კარი ერთ აშკარა გოლსაც კი გადაურჩა მას შემდეგ, რაც ბურთი კარის ძელმა მოიგერია. მატჩის დამთავრების შემდეგ სიხარულს ვერ მალავდნენ გულადოკუჯავა, ბესო კაკულია, გოჩა შენგელია, გიორგი ლაშხია, ბესიკ ნაჭყებია, მოგელი გეგია, ჯიმშერ მარკოზია, თემურ ერხვანია, გოჩა თოდუა, ჯამლეთ ბეჭვაია, კახა ჯანაშია, ხვიჩა გულორდავა, გივი გაგუა და მალაქია ჯანჯღავა (გამარჯვება „იმედის“ მწვრთნელის სოსო ჯეჯელავას „წინასწარმეტყველება“. თათბირის შემდეგ მან ოდნავ გასაგონად ჩაილაპარაკა, „რაკი მესამე ადგილისთვის სათამაშოდ ჩვენ დაგვიშვეს, ბიჭები ამ შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებენ“).

* * *

**26 აგვისტოს თათბირი. ს. სალმანი: „ახლა აღარ დაგიმალავთ და გეტყვით, რომ საქართველოს გუნდები ატესტაციაზე საგანგებოდ შევამოწმეთ. ჩვენდა სასიხარულოდ აქ ყველაფერი იდეალურ წესრიგში იყო.**

* * *

საუკეთესო მეკარის პრიზი მიეკუთვნა „მატილის“ გოლკიპერს ზვიად კაპანაძეს, საუკეთესო მცველის — გოჩა შენგელიას („იმედი“), საუკეთესო ნახევარმცველის — ალექსეი ვაშკევიჩს („ოლიმპი“, ქ. კიშინიოვი), საუკეთესო თავდამსხმელის — იური ალექსეევს („ლუჩი“, ქ. ფსკოვი). 14 გოლით ტურნირის ბომბარდირი გახდა ლატვიის „ნადეჟდას“ ფეხბურთელი ქენია პრიედესლაიპი.

„ტყავის ბურთის“ ტურნირს გარდა წმინდა სპორტულისა, მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი მხარეც ჰქონდა — თავისუფალ დროს მონაწილენი შრომით დესანტებში, საინტერესო შეხვედრებში, საშეფო ორგანიზაციების მიერ მოწყობილ ღონისძიებებზე ატარებდნენ. ისინი გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნაობებსა და ისტორიულ ადგილებს, შეხვდნენ ცნობილ სპორტსმენებს.

რაც შეეხება ტურნირის ორგანიზაციულ მხარეს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა, თბილისის საქალაქო კომიტეტმა, რაიკომებმა, საშეფო ორგანიზაციებმა ძალზე დიდი მუშაობა გასწიეს, რათა „ტყავის ბურთის“ 1987 წლის ტურნირი ნამდვილ სპორტულ დღესასწაულად ქცეულიყო.

**გიორგი ქორქია.**

# დღეს ამხანაგური მატჩია

**9 სექტემბერს** საბჭოთა ფეხბურთელები ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში თავიანთ მინდორზე მიიღებენ საფრანგეთის ნაკრებს, მანამდე კი სტუმრად ამხანაგურ საერთაშორისო საწვრთნელ მატჩს გამართავენ იუგოსლავიის გუნდთან.

საბჭოთა ნაკრებს, თუ უნგრელებს არ ჩავთვლით, იუგოსლაველ ფეხბურთელებთან ყველაზე მეტი საერთაშორისო შეხვედრა აქვს ჩატარებული. უნგრელებთან დღემდე 18 მატჩი ვითამაშეთ, იუგოსლაველებთან — 15.

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ მატჩს ფრანგებთან დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ამიტომაც ახლა მაღალ დონეზე უნდა შემოწმდეს ჩვენი გუნდის მზადყოფნა. სწორედ ამ მიზნით აირჩიეს ჩვენმა მწვრთნელებმა მეტოქედ იუგოსლავიის ძლიერი გუნდი.

ძნელი სათქმელია ვის გამოიყვანს მინდორზე იუგოსლაველთა მწვრთნელი ი. ოსიმი, ვინაიდან ამ ქვეყნის უძლიერესი საუკეთესო ფეხბურთელები უცხოეთის პროფესიულ გუნდებში გამოდიან. ასე, მაგალითად, ძმები ვუიოვიჩები საფრანგეთის „ბორდოში" თამაშობენ, სლიშკოვიჩი — საფრანგეთის „მარსელში", კრანჩარი და ჰალილხოჯიჩი — ვენის „რაპიდში", მეკარე ივკოვიჩი — ავსტრიის „სვაროვსკი-ტიროლში", მაგრამ იუგოსლავიის ნაკრებსაც მალე მეტად საპასუხისმგებლო მატჩი მოელის ევროპის ჩემპიონატის IV შესარჩევ ჯგუფში ინგლისის გუნდთან, ამდენად იუგოსლავიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა დღევანდელი ამხანაგური შეხვედრა ძალების გარკვეულ საბრძოლო დათვალიერებას წარმოადგენს.

**დღეს ამ საინტერესო მატჩს საკავშირო ტელევიზიის II პროგრამით ვნახავთ 23 საათიდან თბილისის დროით.**

## I ლიგა

**27 აგვისტოს გაიმართა I ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების 29-ე ტურის მატჩები.**

ბათუმის დინამოელებმა ვოროშილოვგრადში ქულა აიღეს ადგილობრივ „ზარიასთან" შეხვედრაში — 0:0.

ქუთაისის „ტორპედო" დონის როსტოვში შეხვდა ადგილობრივ არმიელთა გუნდს და მარცხი განიცადა — 0:2.

ტურის სხვა შეხვედრათა შედეგები: „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:0, ასკ „კარპატი" (ლვოვი) — „დაუგავა" (რიგა) 2:1, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „როსტსელმაში" (დონის როსტოვი) 1:1, „გეოლოგი" (ტიუმენი) — „დინამო" (სტავროპოლი) 2:1, „ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:2, „კუზბასი" (კემეროვო) — „კოლოსი" (ნიკოპოლი) 2:1, „პამირი" (დუშანბე) — „ფაკელი" (ვორონეჟი) 3:2, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „როტორი" (ვოლგოგრადი) 2:0.

## გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 29 აგვისტოსთვის**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ჩერნომ." | 28 | 19 | 8 | 1 | 50-17 | 46 |
| „ლოკომ." | 28 | 15 | 10 | 3 | 38-16 | 40 |
| „დაუგავა" | 26 | 14 | 8 | 4 | 43-21 | 36 |
| „კოლოსი" | 28 | 14 | 4 | 10 | 41-40 | 32 |
| „როსტსელ." | 27 | 11 | 9 | 7 | 36-31 | 31 |
| „ფახთაქ." | 28 | 11 | 8 | 9 | 30-27 | 30 |
| „კუზბასი" | 28 | 10 | 10 | 8 | 27-19 | 30 |
| „პამირი" | 28 | 12 | 5 | 11 | 38-35 | 29 |
| ასკ „კარპ" | 28 | 10 | 9 | 9 | 40-30 | 29 |
| „დინ." სტ. | 27 | 9 | 10 | 8 | 30-33 | 28 |
| „გეოლოგი" | 28 | 11 | 5 | 12 | 30-33 | 27 |
| „შინიკი" | 27 | 10 | 6 | 11 | 16-24 | 26 |
| „მეტალურ." | 27 | 9 | 8 | 10 | 37-34 | 26 |
| „დინ." ბ. | 28 | 8 | 9 | 11 | 24-25 | 25 |
| „ზარია" | 27 | 8 | 9 | 10 | 26-38 | 25 |
| „სპარტაკი" | 27 | 8 | 8 | 11 | 22-27 | 24 |
| „როტორი" | 28 | 9 | 4 | 15 | 31-42 | 22 |
| ასკ რ. | 27 | 9 | 3 | 15 | 21-34 | 21 |
| „კრ. სოვ." | 28 | 6 | 9 | 13 | 22-34 | 21 |
| „ტორპ." ქ. | 28 | 6 | 9 | 13 | 18-34 | 21 |
| „კოტაიკი" | 27 | 8 | 4 | 15 | 30-42 | 20 |
| „ფაკელი" | 28 | 4 | 9 | 15 | 19-33 | 17 |

## „იმედის" თასზე

**კრემენჩუგში** გრძელდება „იმედის" თასის საკავშირო ნახევარფინალური გათამაშება. III ტურში საქართველოს ჭაბუკ ფეხბურთელთა გუნდი ლენინგრადის გუნდს შეხვდა და გაიმარჯვა ანგარიშით 2:0, ბურთები გაიტანეს ყიზილაშვილმა და ნეფარიძემ.

ფრედ ითამაშეს ლიტვისა და უზბეკეთის გუნდებმა — 1:1, უკრაინელებმა ანგარიშით 4:0 დაამარცხეს „შრომითი რეზერვების" ნაკრები.

IV ტურში საქართველოს ნაკრებმა მეტად მნიშვნელოვანი მატჩი მოუგო ლიტვის გუნდს — 1:0, ხოლო უკრაინელებმა ანგარიშით 2:0 დაამარცხეს უზბეკეთის ნაკრები. ლენინგრადელმა ფეხბურთელებმა მხოლოდ ქულა აიღეს „შრომითი რეზერვების" გუნდთან შეხვედრაში — 2:2.

ტურნირზე კიდევ ერთი ტურია სათამაშო, მაგრამ ფინალის საგზური უკვე გაინაღდეს უკრაინისა (7 ქულა) და საქართველოს ფეხბურთელებმა (6 ქულა). დარჩენილ ტურში ლიტველებს ასევე 6 ქულის დაგროვების შესაძლებლობა აქვთ, მაგრამ მათ მარცხი განიცადეს საქართველოს გუნდთან, ამიტომ ისინი მესამე ადგილს ვერ ასცდებიან.

## ფედერაციის თასზე

**დღეს** მეოთხე ტურის მატჩებით განახლდება სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თასის გათამაშება. ლანჩხუთში ერთმანეთს შეხვდებიან „ბ" ჯგუფის წარმომადგენლები — ადგილობრივი „გურია" და თბილისის „დინამო", ერევნის „არარატი" კი ბაქოს „ნეფთჩის" მიიღებს.

შეგახსენებთ სატურნირო მდგომარეობას:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" თბ. | 3 | 2 | 1 | 0 | 9-4 | 5 |
| „ნეფთჩი" | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 5 |
| „გურია" | 3 | 1 | 0 | 2 | 4-7 | 2 |
| „არარატი" | 3 | 0 | 0 | 3 | 1-6 | 0 |

## ოლიმპიურ სარბიელზე

**ოსლოში** შედგა ოლიმპიური თამაშების საფეხბურთო ტურნირის შესარჩევი მატჩი ნორვეგიისა და შვეიცარიის გუნდებს შორის. თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 4 | 3 | 1 | 0 | 4-0 | 7 |
| შვეიცარია | 4 | 1 | 2 | 1 | 4-4 | 4 |
| ნორვეგია | 6 | 0 | 4 | 2 | 1-3 | 4 |
| თურქეთი | 3 | 1 | 1 | 1 | 4-5 | 3 |
| ბულგარეთი | 3 | 0 | 2 | 1 | 1-2 | 2 |

## კიშინიოვში, ქალთა ტურნირზე...

**მოლდავეთის** დედაქალაქში მიმდინარე ფეხბურთელ ქალთა საკავშირო გათამაშებაში თბილისის სამედიცინო სასწავლებლის გოგონებმა მალახოვკის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის გუნდთან შეხვედრაში ქულა აიღეს — 1:1 და გადამწყვეტ, ფინალურ მატჩში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. აქ მათი მეტოქე იქნება ქ. რამენსკოეს „ტექსტილშჩიკი".

# ტრიბუნებზე წესრიგი უნდა დამყარდეს

საქართველოს . პირველობა

SOS

**ჩვენი გაზეთის მკითხველმა,** რომელიც რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის მსვლელობას ადევნებს თვალს, არ შეიძლება არ შენიშნოს, რომ I ჯგუფის გუნდებში მოიკლო დარღვევებმა, გაუმჯობესდა მსაჯობა, მატჩების საერთო ორგანიზებულობამაც გაცილებით უკეთესი ფორმები მიიღო, ვიდრე ეს უწინ იყო. სულ უფრო ნაკლებია გაუმართლებელი პრეტენზიები მსაჯობის მიმართ, შედარებით ნაკლებად არღვევენ დისციპლინას ფეხბურთელები, ყველაფერი ეს დიდად სასიხარულოა, მაგრამ ბოლო ხანებში უწესრიგობამ და ხულიგნობამ სათამაშო მინდვრებიდან გადაინაცვლა... ტრიბუნებისკენ.

დიახ, დიდად სავალალო ფაქტია, მაგრამ ტრიბუნა — ჩვენი საერთო საფეხბურთო ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, მეტად სერიოზული ობიექტი, როგორღაც საერთო ყურადღების ჩრდილში აღმოჩნდა და თუ ამ მიმართებით ამთავითვე არ გავწიეთ სათანადო აღმზრდელობითი მუშაობა, თუ ჩვენს მაყურებელს ღრმად არ ჩავუნერგეთ ობიექტურობისა და კეთილგანწყობილების გრძნობა, ჩვენი ფეხბურთი მუდამ ხარვეზიანი და ნაკლიანი იქნება.

მკითხველს ალბათ ახსოვს რაც მოხდა ამ ცოტა ხნის წინათ ცხინვალის სტადიონზე, სადაც ადგილობრივმა ვაიგულშემატკივრებმა ფიზიკური ანგარიშსწორება მოუწყვეს მსაჯს. ეს იყო ნამდვილი საგანგაშო, ყოვლად აღმაშფოთებელი ამბავი, რომელიც ექსტრაორდინალური ზომებით უნდა ძირიანფესვიანად აღმოფხვრას, მაგრამ ცხინვალის სტადიონის ამბავი ჭკუის სასწავლებელი არ აღმოჩნდა და რეციდივი, კიდევ უფრო აღმაშფოთებელი და შეუწყნარებელი ამის მერე ჩხოროწყუშიც მოხდა.

**23 აგვისტოს** ჩხოროწყუს სტადიონზე შედგა საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი ადგილობრივ „სამეგრელოსა" და ხობის „კოლხეთს" შორის. ეს იყო გათამაშების ლიდერთა ერთ-ერთი მეტად მნიშვნელოვანი თამაში, რომელსაც საგანგებო ყურადღების მიქცევა ესაჭიროებოდა. ამიტომაც საქართველოს სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველომ მატჩის ინსპექტორად გაგზავნა აპარატის თანამშრომელი ბ. ქარქაშაძე.

**ძნელი აღსაწერია ის ამბავი, რაც ჩხოროწყუს სტადიონზე მოხდა, მაგრამ სიტყვა მივცეთ მატჩის ინსპექტორს:**

„კვირადღე იყო, მატჩს ესწრებოდა დაახლოებით 8-10 ათასი მაყურებელი, თამაშის დაწყებამდე დაახლოებით საათნახევრით ადრე სტადიონის ორი სექტორი მთლიანად დაიკავეს სტუმრებმა — ხობელმა გულშემატკივრებმა. ჩხოროწყუს მილიციისა და სახალხო რაზმელთა გაძლიერებული ძალები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ტრიბუნებს, შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსი ა. ტორჩინავა და ადგილობრივი ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელები გამზადებული იყვნენ საიმისოდ, რომ უდისციპლინობის პირველივე გამოვლინებისას სათანადო ზომებისთვის მიემართათ.

მატჩი მიმდინარეობდა ძალზე დაძაბულად, მაგრამ კორექტულად, წესრიგი სუფევდა მინდორზეც და ტრიბუნებზეც, მით უმეტეს, რომ მსაჯთა ბრიგადა — არბიტრი გ. გაბესკირია (სოხუმი), მისი დამხმარეები — მ. ჰელიძე და ე. სილაგავა (თბილისი) წესების სრული დაცვით, ობიექტურად წარმართავდნენ თამაშს. მათ მიმართ არ შეიძლება ვინმეს რამე პრეტენზია ჰქონდეს.

ასეთ ვითარებაში თამაშის დამთავრებას სულ რაღაც 15 წამი აკლდა, როცა მასპინძლები წინ იყვნენ ანგარიშით 1:0. „სამეგრელოს" კართან დაინიშნა კუთხური, ბურთი მოაწოდეს და ხობელმა ფეხბურთელმა ფარფალიამ ზუსტად გაგზავნა იგი ჩხოროწყუელთა კარში — 1:1. ყველაფერი მოხდა საფეხბურთო წესების სრული დაცვით, რაიმე უკანონობაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, მაგრამ როგორც კი თამაში დამთავრდა, მილიციელთა კორდონი გაარღვია რომელიღაც ჩხოროწყუელმა ვაიგულშემატკივარმა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა გვერდით მსაჯს მ. ჰელიძეს. ყველაფერი ეს ანაზღ[illegible] და მოულოდნელად მოხდა, ხულიგანს მხარი აუბეს მისმა მსგავსმა გულშემატკივრებმა, მათი დიდი ჯგუფი გადმოცვივდა მინდორზე, თავაშვებულნი ემუქრებოდნენ მსაჯებს და მხოლოდ მილიციის მუშაკთა აქტიური შემწეობით ძლივს შეაღწიეს თავი გასახდელში ხობელმა ფეხბურთელებმაც და მსაჯებმაც. ხულიგანთა დაშოშმინებას კიდევ ბევრი დრო დასჭირდა, ხოლო დაშავებულმა მსაჯმა ღამე საავადმყოფოში გაათია".

**რა კომენტარის გაკეთება შეგვიძლია ასეთ შემთხვევაში? ფაქტია, ამგვარი წრეგადასული ექსცესები ჩვენში კვლავ და კვლავ ხდება, ალვირახსნილ ვაიგულშემატკივართა მოთოკვა კი ჯერ კიდევ ვერ შევძელით. ეტყობა, საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, ადგილებზე, მაყურებელთა შორის არ მიმდინარეობს სათანადო საპროპაგანდო-სააგიტაციო მუშაობა, ცალკეულ ხულიგანთა მოთოკვა ვერა და ვერ მოხერხდა. ნურავინ გვეტყვის თითქოს ადგილებზე არ იციოდნენ ვინ არის პოტენციური ხულიგანი, ვის შეუძლია შეაშფოთოს ნორმალური სპორტული ატმოსფერო, ვინაა ჩხუბისა და აყალმაყალის მოთავე! ტრიბუნებს ისეთივე ფხიზელი თვალი ესაჭიროება, როგორიც უშუალოდ საფეხბურთო მინდორზე მყოფ ფეხბურთელებსა და მსაჯებს. მატჩზე მოსული მთვრალი კაცი ეს ის უპირველესი პოტენციური ხიფათია, რომელსაც შეუძლია აიყოლიოს სხვები და ისეთივე ექსცესები მოახდინოს, როგორც ეს უკვე იყო ცხინვალსა და ჩხოროწყუში. გასაოცარი ისიცაა, რომ ამგვარი ამბები მაშინაც ხდება, როცა მსაჯები მართალნი არიან.**

**იქნებ ვინმეს ჰგონია, რომ ცხინვალელთა მიმართ ლმობიერი სასჯელია გამოტანილი? მაგრამ ნურავის დაავიწყდება, რომ თუ აქ მსგავსი რამ გამეორდა, ცხინვალის სტადიონზე საფეხბურთო მატჩები აიკრძალება ზუსტად ერთი წლით! განა ეს ცოტაა?**

**ყველაფერი ეს ჩვენი ფეხბურთის შავი ლაქაა, ლაქა კი უნდა ჩამოვირეცხოთ. ყოველ უწესრიგობაზე გამოტანილი სასჯელი ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს ყველასათვის.**

**2 სექტემბერს** შედგება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტულ-ტექნიკური კომისიის საგანგებო სხდომა, რომელზეც განიხილავენ ჩხოროწყუს სტადიონზე მომხდარ აღმაშფოთებელ ამბავს. დამნაშავეებს შეწყალება არ უნდა ჰქონდეთ. ყველა ბოროტმოქმედმა პასუხი სრულად უნდა აგოს ჩადენილ მძიმე საქციელზე.

საინტერესოა თვით ჩხოროწყუს სპორტული და სხვა ხელმძღვანელები რას გვეტყვიან აქ მომხდარ დარღვევებზე?

**სსრ კავშირის ჩემპიონატი რეგბიში**



**ქუთაისი. ცენტრალური სტადიონი. 27 აგვისტო.**

**„მშენებელი" (ქუთაისი) — „ავიატორი" (კიევი) — 10:6 (3:3).**

**„მშენებელი":** გიორგაძე, ხამაშურიძე, ნემსიწვერიძე, ხარშილაძე, ჟორჟოლიანი, დეისაძე, ლოსაბერიძე, თხელიძე, ოდიშარია, ფხაკაძე, ნაჭყებია (შვანგირაძე), გრიგალავა, ლილუაშვილი, ტურძელაძე, იბოლაძე.

**„ავიატორი":** გონიანი, მაზაიცევი, კანა, ზახარენკო, იგნატენკო, ი. სლიუსარი, შინკარიოვი, ივხიანიკი, ხაირულინი (კოროლიოვი), ტკაჩენკო (ლეონოვი), შეველევი, კისტენი, ფესენკო, მუხა, ეფიმოვი (ა. სლიუსარი).

მსაჯი ვ. რაზდორსკი (მოსკოვი).

**ლიდერთა** ორთაბრძოლა, მოგეხსენებათ, ყოველთვის დაძაბული და უკომპრომისოა, გამონაკლისი არც ეს შეხვედრა ყოფილა. მეტოქეები მთელი ძალით იბრძოდნენ, რადგან ამ პრინციპულ შეხვედრაში მოპოვებულ თითოეულ ქულას ოქროს ფასი ჰქონდა. მიზანთან ორივე გუნდი ახლოს იყო, მაგრამ ქუთაისელმა რეგბისტებმა, რომელთა რიგებს კვლავ რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა, კიდევ ერთხელ გამოავლინეს შესაშური ნებისყოფა, გამარჯვებისკენ დაუოკებელი სწრაფვა და გაიმარჯვეს.

მატჩი თავიდანვე ტაქტიკურად საინტერესოდ წარიმართა. მეტოქეები პოზიციურ ბრძოლაში ცდილობდნენ ტერიტორიული და სათამაშო უპირატესობის მოპოვებას, საკუთარ ნახევარზე უფრო ხშირად ფეხით თამაშობდნენ, მეტოქის მხარეზე კი ცდილობდნენ არასტანდარტულად, მძაფრად ებრძოლათ, ყურადღებით მოქმედებდნენ დაცვაშიც, ამიტომ უპირატესობის მოპოვებას ვერც ერთი გუნდი ვერ ახერხებდა. ეს, უპირველეს ყოვლისა, განაპირობა მორკინალების პაექრობამ, რომლებიც, როგორც სტატიკურ სიტუაციებში, ისე „ღია თამაშში", ტოლს არ უდებდნენ ერთმანეთს.

მიუხედავად ამისა, პირველი 15 წუთის განმავლობაში მშენებლებს ორჯერ ჰქონდათ ანგარიშის გახსნის შესაძლებლობა. ორივე შემთხვევაში სტუმრებმა მოლში თამაშის დროს თამაშგარე მდგომარეობის წესი დაარღვიეს. თუ მე-4 წუთზე ხამაშურიძის დარტყმამ მიზანს ვერ მიაღწია, ათიოდე წუთის შემდეგ ისევ ხარშილაძემ გაცილებით რთული მდგომარეობიდან შესრულებული დარტყმით პირველი 3 ქულა მოუტანა თავის გუნდს. ამ წარუმატებლობამ არ დააბნია კიეველები, რომლებიც სულ მცირე შესაძლებლობის მიღებისთანავე ცდილობდნენ იერიშის წამოწყებას და 39-ე წუთზე ხაირულინმა საჯარიმო დარტყმით ანგარიში გაათანაბრა.

მატჩს სიმძაფრე არც მეორე ტაიმში მოკლებია, პირიქით... ძნელი სათქმელი იყო, ვინ გაიმარჯვებდა, მაგრამ ამ კრიტიკულ მომენტში შესანიშნავად ითამაშა „მშენებლის" კიდევ ერთმა ვეტერანმა მიხეილ ხარშილაძემ... 65-ე წუთზე შვანგირაძემ მაღალ ნახტომში მოიგო დერეფანში შემოგდებული ბურთი და „მოლი ზუსტად დააყენა". გრიგალავამ დროულად გამოიტანა ბურთი და იგი მიაწოდა ხარშილაძეს, რომელმაც მძლავრი ბიძგით ჩამოიშორა სამი მეტოქე და, როცა მცველებიც წამოეწივნენ, ფეხით ოსტატურად „გადაიკიდა" ბურთი, თვითონვე შეჰყვა მას ზედ ჩათვლის მოედნის მისადგომებთან და ნემსიწვერიძეს გადააწოდა. ასე გავიდა ამ შეხვედრაში ერთადერთი ლელო — 7:3.

73-ე წუთზე მაზაიცევმა საჯარიმო დარტყმით ანგარიშში სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა. მატჩის ბედი ბეწვზე ეკიდა, მაგრამ კვლავ ქუთაისელთა გუნდის ვეტერანმა ისახელა თავი. ბესარიონ ლილუაშვილმა 30 მეტრიდან, მახვილი კუთხით ზუსტად დაარტყა საჯარიმო და წერტილი დაუსვა ბრძოლას.

**თამაზ ხარაბაძე.**

**(„ლელოს" საკ. კორ.)**

## მკითხველი — გაზეთი

**თქვენი გაზეთის 15 აგვისტოს ნომერში გვაუწყეთ, რომ საქართველოს რეგბისტთა გუნდმა — თბილისის „ლოკომოტივმა" მხოლოდ ერთხელ, ისიც ათიოდე წლის წინათ იზეიმა საკავშირო თასის გათამაშებაში გამარჯვება. 16 აგვისტოს ნომერში კი წერდით: „...ქუთაისელი სპორტსმენები პირველად ასრულებდნენ საპატიო წრეს სსრ კავშირის თასით ხელში".**

**კეთილი და პატიოსანი, მაგრამ 16 აგვისტოს „სოვეტსკი სპორტში" დაბეჭდილი ინფორმაცია გვარწმუნებს, რომ ქუთაისის „მშენებლის" რეგბისტებმა მეორედ მოიპოვეს საბჭოთა კავშირის თასი, პირველად კი ამ წარმატებას გუნდმა 1984 წელს მიაღწია.**

**გთხოვთ განგვიმარტოთ, რომელი ინფორმაციაა სწორი, გაგვაგებინეთ, რამდენჯერ ფლობდნენ თასს ქუთაისელი რეგბისტები.**

**დუხუნა ზიუზიუაძე.**

ცხინვალი.

ქუთაისის „მშენებლის" რეგბისტებმა წელს პირველად მოიპოვეს საბჭოთა კავშირის თასი. რაც შეეხება 1984 წლის თასის გათამაშებას, „მშენებელი" შეჯიბრებას მერვედფინალში გამოეთიშა თბილისის „შევარდენთან" დამარცხების (9:10) შემდეგ და თასი კიევის „ავიატორმა" მოიპოვა, რომელმაც ფინალში ანგარიშით 15:9 დაამარცხა მოსკოვის „სლავა". სხვათა შორის, „სოვეტსკი სპორტში" დაბეჭდილ ინფორმაციაში კიდევ ერთი შეცდომაა დაშვებული. ქუთაისელები ორჯერ არ ყოფილან ვიცე-ჩემპიონები, მათ თითოჯერ დაისაკუთრეს ვერცხლისა (1984 წელს) და ბრინჯაოს (1985) მედლები.

მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატის წინ

# ...და ახალ რეკორდებსაც

**დღეს** რომის ოლიმპიურ „ფორო-იტალიკოს" სტადიონზე — დაიწყება პლანეტის უძლიერეს მძლეოსანთა დიდი ფორუმი — მსოფლიო ჩემპიონატი. მასპინძლები გაცხოველებით ემზადებიან, რომ ეს პირველობა, როგორც თვითონვე განაცხადეს, „სპორტის დედოფლის" ყველაზე გრანდიოზულ და შთამბეჭდავ ასპარეზობად გადაიქცეს. იტალიელთა გეგმებს ორი საფუძვლიანი გარემოებაც უმაგრებს ზურგს: ჯერ ერთი, მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის — იააფ-ის პრეზიდენტი, პოპულარული სპორტული მოღვაწე, პროფესიით იურისტი პრიმო ნებიოლო იტალიელია და ამ ჩემპიონატის კარგად ჩატარება ღირსების საკითხია როგორც თვით პრეზიდენტის, ისე მისი თანამემამულეებისათვის. გარდა ამისა, წლეულს სრულდება 75 წლისთავი იააფ-ის დაარსებიდან. ამ უდიდესი სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელებს (იგი 179 ქვეყნის 130 მილიონ ადამიანს აერთიანებს) და რომაელებს გადაწყვეტილი აქვთ დიდი ზარ-ზეიმით აღნიშნონ იუბილე, საამისოდ კი მსოფლიო ჩემპიონატის დღეებზე უკეთეს დროს, ცხადია, კაცი ვერ ინატრებს.

ერთი სიტყვით, ჰა ბურთი და ჰა მოედანი — პლანეტის ყველაზე გამოჩენილი მძლეოსნები უკვე რომაული ბატალიების ტრიუმფატორის როლში ხედავენ საკუთარ თავს. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ „ოქროს მაძიებლებს" მძიმე სამუშაო ელით. ამჟამად მსოფლიოში „სპორტის დედოფლის" პოპულარობა ძალიან დიდია. გაიზარდა შედეგები, იმატა კონკურენციამ და თვით აშკარა ფავორიტთა შესაძლებლობებსაც ერთგვარი ეჭვის თვალით უყურებენ. მძლეოსანთა ბოლო შეჯიბრებებზე მაყურებლები თვით დაუმარცხებელ სპორტსმენთა მარცხის მოწმენი გახდნენ.

უახლოეს მომავალში კი დაუმარცხებელთა შორის უპირველესი ალბათ ისევ საოცარი მაროკოელი საიდ აუიტა იქნება, რომლის შესახებაც ამბობენ, ასეთი მორბენალი ას წელიწადში ერთხელ იბადებაო. ჩვენი მკითხველისათვის, ალბათ, საინტერესო იქნება, როგორ „იპოვეს" აუიტა მძლეოსნობისათვის. იგი მაშინ ფეხბურთელი იყო და თანაგუნდელებთან ერთად ეგრეთ წოდებული კუპერის ტესტის ჩაბარება, ანუ 3 კილომეტრის გარბენა მოუხდა. ამ მანძილის დაფარვას მან 8.15,0 მოანდომა!

ერთი სიტყვით, აუიტას მართლაც საოცარი მონაცემები აქვს და მისი დამარცხება, განსაკუთრებით 5-კილომეტრიან დისტანციაზე, ფაქტობრივად შეუძლებელია. წლეულს მან ნამდვილი სენსაცია მოახდინა, როცა ამ მანძილზე რბენაში მძლეოსნობის ისტორიაში პირველად აჩვენა 13 წუთზე უკეთესი დრო — 12.58,39. შეგახსენებთ, რომ აუიტას ეკუთვნის მსოფლიო რეკორდები 1500, 2000 მეტრზე და ერთ მილზე (1609 მ) რბენაში. რომში იგი შესაძლოა 1500-მეტრიანი დისტანციის სტარტზეც ვიხილოთ.

სანამ სხვა ფავორიტებზე ვიტყოდეთ რაიმეს, ჯერ ის ვთქვათ, რა ადგილი უჭირავს ამ მსოფლიო ჩემპიონატს შეჯიბრებათა საერთაშორისო კალენდარში. მძლეოსნობის პოპულარობაზე ლაპარაკი ზედმეტად მიგვაჩნია. ამას წინათ საფრანგეთში, ამ „საფეხბურთო" ქვეყანაში ჩატარებული გამოკითხვით დადასტურდა, რომ გულშემატკივრები სპორტის სახეობებში უპირატესობას სწორედ მძლეოსნობას ანიჭებენ. სხვა ქვეყნებშიც „სპორტის დედოფლის" თაყვანისმცემლები ხშირად აშკარად სჭარბობენ ფეხბურთის გულშემატკივრებს.

არადა, ბოლო ოლიმპიადები მსოფლიოს მძლეოსნური მოძრაობის სრულ სურათს ვერ გვიჩვენებდნენ. მიუნხენში, მაგალითად, აფრიკის ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები არ ჩასულან, მონრეალის ოლიმპიურ თამაშებს კი „შავმა კონტინენტმა" საერთოდ ბოიკოტი გამოუცხადა. მოსკოვში არ გამოსულან ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის წარმომადგენლები, ხოლო ლოს-ანჯელესის თამაშები სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენთა მონაწილეობის გარეშე ჩატარდა. ამიტომ მძლეოსნობის ბევრი მოყვარული სინანულით იგონებს მეხიკოს ოლიმპიადას, მძლეოსნობაში იქ გამართულ მართლაც სრულყოფილსა და უნიკალურ შეჯიბრებებს.

მძლეოსანთა პირველ მსოფლიო ჩემპიონატს, რომელიც 1983 წელს ჰელსინკში ჩატარდა, უდიდესი წარმატება ხვდა, და აი, ოთხი წლის შემდეგ „ფორო იტალიკო" ელის მეორე ჩემპიონატის მონაწილე 2000-მდე დარჩენილ მძლეოსანსა და დაახლოებით ამდენივე ჟურნალისტს, ელის საპატიო სტუმრებს, რომელთა შორის იქნება ჩვენი სახელოვანი სპორტსმენი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი ვიქტორ სანეევი. საერთოდ, წლევანდელი წელი მძლეოსნობის წელიწადია და, რომის ჩემპიონატი 1987 წლის ყველაზე მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიება იქნება.

მძლეოსნობა სპორტის კომპლექსური სახეობაა, მაგრამ გულშემატკივრები ზოგჯერ შეჯიბრების „საერთო ხედის" სანახავად კი არ მიდიან, არამედ — კონკრეტული მიზნით, მაგალითად იმ მიზნით, რომ იხილონ ორი უძლიერესი ათლეტის „დუელი", სპეციალისტებს ასეთ ორთაბრძოლად ესახებათ კარლ ლუისისა და რობერტ ემიანის მომავალი შეხვედრა სიგრძეზე ხტომის სექტორში. როგორც გახსოვთ, ზაფხულის დამდეგს ლენინაკანელმა სპორტსმენმა წახკაძორში კინაღამ გააუმჯობესა ბობი ბიმონის მსოფლიო რეკორდი, როცა 886 სმ გადალახა. ლუისის წლევანდელი შედეგი (879 სმ), უფრო „მოკრძალებულია", მაგრამ... თუმცა, არც სხვა მეტოქეები არიან გულ-ხელდაკრეფილნი, მაგალითად, იტალიელი ჯოვანი ევანგელისტი ემიანის დამარცხებასაც „არ მოერიდა".

მძლეოსნობას, რომლის პროგრამა 43 დისციპლინას მოიცავს, მაინც ჰყავს თავისი „ნებიერები". ერთ-ერთი ასეთი გამორჩეული დისციპლინაა 100 მეტრზე რბენა, სადაც გამარჯვებულს „სპრინტის მეფის" ტიტული ენიჭება. მსოფლიოში (განსაკუთრებით ამერიკის შეერთებულ შტატებში) დღეს ბევრი საუკეთესო სპრინტერია, მაგრამ საეჭვოა, რომ რომში ვინმემ სერიოზული მეტოქეობა გაუწიოს კანადელ ზანგს ბენ ჯონსონს. ამ დაკუნთულმა, მრისხანე შესახედაობის სპრინტერმა, რომელიც, მისივე თქმით, ყველაზე უფრო მულტფილმების ცქერით ერთობა, უმაღლესი შედეგების გარდა საოცარ სტაბილურობასაც მიაღწია. თავად განსაჯეთ: ოტავაში თავის საყვარელ დისტანციაზე მან 9,98 აჩვენა, ციურიხში — 9,97, ხოლო კიოლნში გარბენი 9,95 წამის შემდეგ დაამთავრა. ბრწყინვალე სერიაა! და თუმცა მისი მეტოქეების შედეგებიც საყურადღებოა (მაგალითად, ამერიკელებმა მაიკლ სტიუარტმა და მარკ უეტერსპუნმა ერთ გარბენში 9,89 და 9,91 აჩვენეს, მაგრამ ზურგქარის დახმარებით; ნიგერიელ ჩადი იმოს შედეგი 9,92 იყო, თუმცა მასაც მოკავშირედ ზურგის ქარი ჰყავდა), მაგრამ ჯონსონი აშკარა ფავორიტად რჩება. კარლ ლუისი სპრინტში თითქოს უწინდებური ძალით ვეღარ ასპარეზობს, მაგრამ ოთხგზის ოლიმპიური ჩემპიონისაგან ყველაფერია მოსალოდნელი. მით უმეტეს, რომ მას გადაწყვეტილი აქვს რომში სიგრძეზე ხტომასთან ერთად 100 და 4X100 მეტრზე ამანათრბენშიც გამოვიდეს.

მძლეოსნობა დღესდღეობით მხოლოდ სამ „საოცრებას" იცნობს. ესაა მსოფლიო რეკორდები, რომლებიც თანამედროვე გაგებით „ქვის ხანაში", ჯერ კიდევ 1968 წელს, მეხიკოს ოლიმპიადაზე დამყარდა. ლაპარაკია, ამერიკელ მძლეოსანთა რეკორდებზე სიგრძეზე ხტომაში (890 სმ), 400 მეტრზე რბენასა და 4X400 ამანათრბენში (43,86 და 3.56,1). საინფორმაციო სააგენტოებმა და ჩვენმა გაზეთმაც უკვე გამოაცხადეს, რომ ამერიკელმა ჰარი რეინოლდსმა 400-მეტრიან დისტანციაზე ლი ევანსის რეკორდი გააუმჯობესაო, მაგრამ ეს ცნობა სწორი არ აღმოჩნდა. ეტყობა, გარბენის დროს რაღაც წესი დაირღვა.

მაგრამ ამ საოცარ მიღწევებსაც, როგორც იტყვიან, უკვე წყალი შეუდგა. სიგრძეზე ხტომაზე უკვე მოგახსენეთ. ლი ევანსის შედეგს კი (43,86) სერიოზულად ემუქრება ორი ათლეტი — ისევ ის ამერიკელი ჰარი რეინოლდსი და ნიგერიელი ინოსენტი ეგბუნიკე. პირველის საუკეთესო მიღწევა 44,16 წამია, ეგბუნიკესი — 44,17 (მესამე და მეოთხე შედეგები მძლეოსნობის ისტორიაში).

ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინათ გვეგონა, რომ ორი მძლეოსანი ქალისათვის რომში გამოსვლა მხოლოდ აუცილებელი ფორმალობა იქნებოდა, მაგრამ ბოლო დროს მომხდარმა მოვლენებმა ცოტა არ იყოს აზრი შეგვაცვლევინა. ამერიკელმა შვიდჭიდელმა (!) ქალმა ჯეკი ჯოინერ-პირსმა თვით ჰაიკე დრექსლერის მსოფლიო რეკორდი გაიმეორა სიგრძეზე ხტომაში — 745 სმ. უკანასკნელ პერიოდში სიმაღლეზე ხტომის სექტორში ბატონობდა ბულგარელი სტეფკა კოსტადინოვა, მაგრამ ვერც ის გადაურჩა მარცხის სიმწარეს; ციურიხში კოსტადინოვას აჯობა კანადელმა ლუიზა რიტერმა, რომელმაც 201 სმ გადალახა.

ამ სეზონში ორჯერ დამარცხდა თვით ფენომენალური სერგეი ბუბკაც, მაგრამ ახლავე შეიძლება ითქვას, რომ საეჭვოა, მას იტალიის დედაქალაქში ტოლი გამოუჩნდეს: დონეცკელ სპორტსმენს შეუძლია საპასუხისმგებლო შეჯიბრებაზე მთელი ძალების მობილიზება და სრულად იყენებს თავის ბრწყინვალე მონაცემებს, მათ შორის რკინისებურ ნერვებს.

აშკარა ფავორიტებად ითვლებიან საბჭოთა ურის მტყორცნელები, აგრეთვე ორი ბულგარელი თარჯმორბენალი — იორდანკა დონკოვა და გინკა ზაგორჩევა. რამდენიმე დღის წინათ ზაგორჩევამ დონკოვას მსოფლიო რეკორდი წაართვა და 12,25 აჩვენა. უკანასკნელ წლებში ჩემპიონატის მასპინძლები მძლეოსნობაში ძალიან დაწინაურდნენ. მათს ტრადიციულად ძლიერ სპრინტერებსა და მსოფლიო სარბიელზე ბოლო ხანს წამოტივტივებულ სტაიერებს დაემატა „მძიმე არტილერია"— ბირთვის მკვრელი ალესანდრო ანდრეი, რომელმაც ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა. მან 7,260-კილოგრამიანი ბირთვი 22,91 მეტრზე ჰკრა! სარბიელს დაუბრუნდა მსოფლიოს რეკორდსმენი (200 მ) 35 წლის პიეტრო მენეაც.

ძნელი სათქმელია, რა სიურპრიზს შესთავაზებენ მეტოქეებს აფრიკის სახელგანთქმული სტაიერები, მაგრამ ყოველი სტარტის წინ თვით ნაკლებად ცნობილ კენიელ, ეთიოპიელ, მაროკოელ, ტუნისელ თუ ჯიბუტელ მორბენლებს შიშითა და სიფრთხილით უყურებენ მეტოქეები. ალბათ თავის სიტყვას იტყვის ესპანელ სტაიერთა შესანიშნავი წყვილი — გონსალესი და აბასკალი, რომლებმაც აუიტას შემდეგ მაღალი შედეგები აჩვენეს 5-კილომეტრიან დისტანციაზე (13,12.34 და 13.12,49), გაურკვეველი მდგომარეობაა საშუალო მანძილზე რბენაში, მაგალითად 800-მეტრიან დისტანციაზე აშკარა ფავორიტის დასახელებისაგან ალბათ ყველა შეიკავებდა თავს. 1500 მეტრზე კი უდავოა, რომ მსოფლიო ჩემპიონს, ინგლისელ სტივ კრემს ახალგაზრდა, მზარდ მორბენალთა დიდ ჯგუფთან ან თვით აუიტასთან მძაფრ ბრძოლაში მოუწევს თავისი ტიტულის დაცვა.

რომში იასპარეზებს ორი ქართველი სპრინტერი — მაია აზარაშვილი და ბესიკ გოცირიძე. ინდივიდუალურ სახეობაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ 4X100 მეტრზე ამანათრბენში საბჭოთა კავშირის ნაკრები ყოველთვის კარგად გამოდის. იმედია, ჩვენი სპორტსმენებიც წარმატებას მოიპოვებენ ქალთა და ვაჟთა კვარტეტების შემადგენლობაში.

რომის მსოფლიო ჩემპიონატისათვის სპორტსმენთა საგულდაგულო მომზადებაზე ისიც მეტყველებს, რომ წლეულს მსოფლიოს სტადიონებზე სხვა მაღალ შედეგებთან ერთად მსაჯებმა შვიდი სარეკორდო მაჩვენებელიც აღნუსხეს. აი, ეს რეკორდებიც: **5 კმ.** — საიდ აუიტა (მაროკო) — 12.58,39; **სიმაღლეზე ხტომა** — პატრიკ შობერგი (შვეცია) — 242 სმ; **შუბის ტყორცნა** — პეტრა ფელკე (გდრ) — 78,90. მ. **სიგრძეზე ხტომა** — ჯეკი ჯოინერ-პირსი (აშშ) — 745 სმ; **400 მ. თარჯრბენი** — საბინა ბუში (გდრ) — 53,24; **100 მ. თარჯრბენი** — გინკა ზაგორჩევა (ბულგარეთი) — 12,25.

მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატი და ამ ასპარეზობისათვის სამზადისი უდიდესი, უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესია სპორტში და ერთ საგაზეთო წერილში მისი სრულად გადმოცემა, ცხადია, შეუძლებელია. დავუცადოთ ჩემპიონატს, იგი ყველა კითხვაზე გაგვცემს პასუხს და იმედია, ახალ რეკორდებსაც გვაჩუქებს.

**გიორგი ჩოჩიშვილი.**



„ფორო-იტალიკოს" სტადიონი.



**ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: საიდ აუიტა; ჰაიკე დრექსლერი; მსოფლიოს სამი უძლიერესი სპრინტერის შეხვედრა მოსკოვში, კეთილი ნების თამაშებზე. ამ გარბენში ბრწყინვალე შედეგით (9,95) გაიმარჯვა ბენ ჯონსონმა (შუაში), მეორე ადგილზე გავიდა ჩადი იმო (მარცხნივ), კარლ ლუისი (მარჯვნივ) მესამე იყო.**

## თბილისის [illegible]

**ტალინის** კორტებზე ახლახან დამთავრებული საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე გოგონები და ჭაბუკები, იქვე ჩვენი ქვეყნის 1969-70 წლებში დაბადებულ მოზარდთა პირად-პირველობაში ჩაებნენ. ქართველ ჭაბუკთა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტთა წყვილმა, ორმა დავითმა—კაჭარავამ და კვარაცხელიამ ფინალში 7:5, 6:2 დაამარცხა მინსკელი ს. სკაკუნი და სოჭელი ბ. კურკინი და ჩემპიონობა მოიპოვა. პირად პირველობაში ვერცხლის მედალი დ. კაჭარავამ დაისაკუთრა. აქ უძლიერესი იყო რიგელი არმან შტრომბახი, გოგონათა შორის ჩემპიონი გახდა მოსკოველი ა. მირზა.

## ექსპრესინფორმაცია

**ბოლო** დროს სოხუმელი მოცურავე თემურ გუგუბერიძე („დინამო", მწვრთნელი ნიკოლაი იახიოპულო) თავისი ასაკის სპორტსმენებს შორის საიმედო შედეგებს აჩვენებს. წლეულს მან სხვადასხვა შეჯიბრებაში არაერთ გამარჯვებას მიაღწია. და აი, კიდევ ერთი სასიხარულო ცნობა. თემურ გუგუბერიძემ ფხენიანში გამართულ ნორჩ მოცურავეთა (1973 წელს და შემდეგ დაბადებულნი) საერთაშორისო შეჯიბრება „მეგობრობაში" თანაგუნდელებთან ერთად ყველას აჯობა 4X100 მეტრზე თავისუფალი სტილით ესტაფეტაში.

## სპორტულ ბაზებზე

**ფეხბურთი. საქართველოს ჩემპიონატი. 29 აგვისტო.** „ლოკომოტივის" ბაზა დიღომში. **ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (თბილისი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი).** დასაწყისი 17 საათზე. **30 აგვისტო.** „დინამოს" ბაზა დიღომში. **„იმედი"-„დინამო"-2 (თბილისი) — „სამეგრელო" (ჩხოროწყუ).** 18 ს.

## „სპორტპროგნოზი"

**33-ე ტირაჟის შედეგები (15-16 აგვისტო)**

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა „სპორტპროგნოზის" 33-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 1987 წლის 15-16 აგვისტოს გაიმართა.

ტირაჟში დაუშვეს 6.718.013 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (390) მოგებამ 226 მანეთი შეადგინა, 12 შედეგის გამოცნობისთვის (22.361) — 9 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (237.755) — 3 მანეთი.

33-ე ტირაჟის მოგებათა განაღდება იწარმოებს 1987 წლის 10 სექტემბრიდან 10 ოქტომბრამდე.

**რედაქტორის მოადგილე
შ. ჟიჟინაძე.**



**30 აგვისტოს თბილისის სახელმწიფო იპოდრომზე გაიმართება დოღი წმინდა სისხლის და ახალთექური ჯიშის ცხენების მონაწილეობით.**

გაიმართება შეჯიბრება „სტიპლ-ჩეიზში", რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ თბილისელი, ზუგდიდელი, გულრიფშელი და ოჩამჩირელი ოსტატი მხედრები.

იმუშავებს ტოტალიზატორი, გათამაშდება ლატარია ავტომანქანა „ჟიგულის" ურიგოდ შეძენის უფლების მოსაპოვებლად.

დასაწყისი 12 საათზე.

**იპოდრომის დირექცია.**

ინდექსი: 66435. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 07139